ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-15. 1524057001**

თარიღი:**26/02/2024**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023-2026 წწ) 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023-2026 წწ.) 2024 წლის სამოქმედო გეგმა (დანართი 1);

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მუნიციპალურ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023-2026 წწ) 2024 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელება.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023-2026 წწ) 2024 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია.

4. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაქვემდებარებულ იურიდიულ პირებს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სორტისა დ ახალგაზრდობის სამსახურის მოთხოვნისთანავე, დადგენილი ფორმით (ელექტრონულად ან დოკუმენტალურად) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023-2026 წწ) 2024 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების, მისი შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით, საჭირო შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობის უზრუნველყოფა განხორციელების პროცესში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი